დამთავრდა ჯერ მოედანზე და შემდეგ მოედნის მახლობელ ქუჩებზე საპარადოდ დაწყობილი ჯარის ნაწილების ჩამოვლა. არმიის გენერალი ანტონოვი აკიდია ტრიბუნაზე და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საწელთა სიტყვით მიმართა პარადის მონაწილეებს. მან მიულოცა ამბერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცებს, სერჟანტებს, ოფიცრებსა და გენერლებს, აგრეთვე საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, მშრომელ ინტელიგენციას მუშათა საერთაშორისო დღესასწაული—პირველი მაისი.

არმიის გენერალმა ილაპარაკა იმ დიად მიღწევებზე, რაც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ყველაზე მეტ სრულყოფილებისათვის ბრძოლაში. შედეგად მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირის ძლიერების წყაროებზე, საბჭოთა ხალხის როლზე ძმეიდობისა და დემოკრატიის დაცვაში და მოუწოდა ამბერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს კიდევ უფრო ამაღლონ თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონე, სრულყოფილად დაეუფლონ სოციალისტური სამშობლოს უძლეველ თავდაცვით ტექნიკას.

გენერალმა ანტონოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა დიადი საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალებისადმი, გენერალისიმუს სტალინისადმი მიმართული მისალმებებით.

იგრიალა „ურამ“ და „ვაშამ“; გაისმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი; ორკესტრმა შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა. ამ დიად საზეიმო ხმაურში ქალაქის ერთ-ერთი მაღლობიდან გაისმა ქვეიხთა სასალუტო გრიალი. სალუტი დამთავრდა.

მოედანს კვლავ მოეფინა მხედრული ძახილი:

— საზეიმო მარშისათვის, ნაბიჯით... იარ!

ტრიბუნის პირდაპირ მოედნის სიღრმისაკენ ადგილი დაიკავა გარნიზონის ჯარის ნაწილთა ორკესტრების ნაკრებმა გუნდმა. დაიძრნენ ჯარის ნაწილები.

მოდის ოფიცრთა კოლონა, მათ მოჰყვებიან სამხედრო სასწავლებლთა კურსანტები, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ვაჟკაცები — არტილერისტები, ქვეითმატეები, ტანკისტები, მფრინავები, ერთმეორეზე უფრო ლამაზი, შნოიანი სამხედრო ფორმით გამოწყობილები. მწყობრი მწყობრს მიჰყვება, რიგი-რიგს, ნაწილი-ნაწილს, ისმის მოკვეთილი, მტიკეა მხედრული ნაბიჯის ხმა, გუგუნებს ორკესტრი, სმენას ატკბობს ჯარის სხვადასხვა სახეობათა მიხედვით შესრულებული მარშთა მუსიკა. მფრინავთა ბალოსას ორკესტრი მფრინავების მარშს უკრავს, არტილერისტების გავლისას — არტილერისტების მარშს და ბოლოს ამ შესანიშნავ სანახაობას ლამაზი ფინალით ამთავრებენ ნორჩი ნახიმოველები — ჩვენი სამშობლოს ზღვაოს სიერცეების მომავალი მცველები, რომელთაც ორკესტრი „ვრცელია ჩემი სამშობლოს“ პოპულარული ჰანგით აცილებს.

ქვეითი ნაწილების გავლის შემდეგ მოედანზე გაიარეს საბჭოთა არმიის ტექნიკურმა ნაწილებმა. ყველა სახეობისა და დანიშნულების ავტომობილთა ცქერა საბჭოთა პატრიოტების გულს სიამაყის ჭრძნობით ალავსებდა.

პარადი საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

დროშებით, სიმღერებით, ზამბარჯვების მაჩვენებლებით

რუსთაველის პროსპექტის სიღრმიდან მოედანზე, ტრიბუნასთან მოისმის ორკესტრის სამხიარულო მელოდია. საპირველმაისოდ გამოსულ დემონსტრანტთა კოლონები ახლოვდებიან.

გამოჩნდა კოხტად მორთული ავტომობილი, თითქოს ყვავილებით აესებული. ყვავილებში აღმართულია ლენინის დიდი ფიგურა. ეს „ყვავილები“ მოსწყვეტ გოგონებია ყვავილთა ფერებით შეზამებულნი. ტრიბუნასთან მოახლოებისას ავტოზე მაღლა ასწიეს წითელი დროშა, ოფროიალდა მეხუთე სართულის გასწვრივ წითელი აბრეშუმი.

— დიდება დიდ სტალინს!

გოგონები და ბიჭები ნება-ნება მოატოკებენ მთელი ქუჩის სიგანის გამწვდეგ წითელ არშიას ზედწარწერილი ამ ს

ახალი სესხის გავრცელება დიდი პაჭრიოტული აღმავლობით დაიწყო

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხს

დიდი აქტივობა

ახალი სესხის გამოშვების თაობაზე მთავრობის დადგენილების რადიოთი გადმოცემის დამთავრებისთანავე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში სახელდახელო მიტინგებზე შეიკრიბნენ დედაქალაქის ამ უხუცესი საწარმოს ადამიანები.

სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული გამოსახა საქვაბე საამქროში შემდგარ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში მექვაბე შ. აბუაშვილმა. მან თქვა:

— ჩვენი სამშობლო იშუშებს უმაგალითო ომის შედეგად მიყენებულ ჭრილობებს და ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. პარტიის, მთავრობის, დიდი სტალინის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერა კიდევ უფრო ძლიერს გახდის საბჭოთა სახელმწიფოს, დაიჩქარებს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამავე საამქროს მოწინავე მუშები ი. ბაბაევი, გ. ცარციძე და სხვები.

ნახევარ საათსაც არ გაუვლია მიტინგის დამთავრების შემდეგ, რომ საქვაბე საამქროს კოლექტივმა უკლებლივ მოაწერა ხელი სესხზე.

ასევე დიდი ორგანიზებულობით ჩატარდა სესხზე ხელის მოწერა საელექტროლო, ლითონსამსხმელო, საბარგო-საეკიპაჟო, მექანიკურ, სამზავრო-საეკიპაჟო ვაგონო, და ქარხნის სხვა საამქროებსა და განყოფილებებში.

ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკაში. ტრიბუნაზე ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. ჩარაევი.

ფოტო რ. აკოფოვისა

ჩვენი დანაზოგი — ჩვენი სამშობლოს გასაძლიერებლად

ცნობა სსრ კავშირის მთავრობის მიერ ახალი სესხის გამოშვების შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა მაუდ-კამოლის ფაბრიკის საამქროებში. მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები დაუყოვნებლივ შეგროვდნენ სახელდახელო მიტინგზე. პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ჩარაევმა დამსწრეთ გააცნო სესხის დანაშნულება და მისი გავრცელების პირობები.

— ჩვენ ყოველთვის სიხარულით მივეგებთ ჩვენს თანამრომლის სესხად ჩვენს შრომით დანაზოგს, — განაცხადა მაუდის საამქროს მოწინავე ოსტატმა ი. ჯორჯაძემ,—რადგან ვიცით, რომ იგი ხმარდება ქვეყნის სამეურნეო აყვავებას, მისი ძლიერების განმტკიცებას, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესებას.

სესხზე ხელმოწერაში მისაბაძი მაგალითები გვიჩვენეს კამვოლური საამქროს ოსტატმა, მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის მოწინავე მებრძოლმა გ. ხითუროძემ, ქვეოსტატებმა ნ. ხარატონაშვილმა და შ. თაბუკაშვილმა, კამვოლური საამქროს უფროსმა, ინჟინერმა ს. ნოეიკმა, ფაბრიკის დირექტორმა ნ. თუშიშვილმა, მთავარმა ინჟინერმა ს. იაკობაშვილმა.

მეცნიერ მუშაკთა პაჭრიოტიზმი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში მოწვეულ სახელდახელო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის გამოშვებას, შეგროვდნენ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერები, მეცნიერი მუშაკები და მოსამსახურეები.

მიტინგი გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. მუსხელიშვილმა.

ინფორმაციით ახალი სესხის გამოშვებისა და გავრცელების შესახებ გამოვიდა აკადემიკოსი-მდივანი ი. ვეკუა.

— თვითეულ ჩვენგანს, — თქვა მან, — კარგად ესმის ახალი სახელმწიფო სესხის უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენი სახელმწიფო სესხები ხმარდება სახალხო მეურნეობის აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ ზრდას, საბჭოთა სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის შემდგომ განმტკიცებას.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აკადემიის ნამდვილმა წევრებმა კ. კეკელიძემ და გ. ახვლედიანმა, ვიცე-პრეზიდენტებმა ა. შანიძემ, რ. აგლაძემ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ს. ყაენტმა.

შემდეგ დაიწყო სესხზე ხელმოწერა. დიდ თანხებზე მოაწერეს ხელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა, ვიცე-პრეზიდენტებმა რ. აგლაძემ და ა. შანიძემ, აკადემიკოსმა-მდივანმა ი. ვეკუამ, აკადემიის ნამდვილმა წევრებმა გ. ახვლედიანმა, კ. კეკელიძემ, ა. ჯანელიძემ და სხვ.

პაჭრიოტული აღფრთოვანებით

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში სახელდახელოდ მოწვეულ მიტინგზე თავი მოიყარეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, სტუდენტებმა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ, რომელმაც პირველი სიტყვა მისცა პროორექტორს ა. ბარამიძეს.

— ოთხი წელიწადი სრულდება, — თქვა მან,—რაც ჩვენი ქვეყანა შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გრანდიოზულ სამუშაოებს. ახალი სესხის გამოშვებით ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ძლიერებას, უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ა. ნოღაშვილი, ვ. მამასახლისოვი, პ. ქოშეთიანი, სტალინური სტიპენდიატი სტუდენტი ნ. ადღოლაძე.

ორი საათის განმავლობაში სესხზე ხელმოწერა მთლიანად დამთავრდა.

სამშობლოსათვის, საბჭოთა ხალხისათვის

— სამამულო ომის დღეებში საბჭოთა პატრიოტები საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის, — თქვა საქართველოს ზოოტექნიკურ-საცეტერინარო ინსტიტუტის პედაგოგიური პერსონალისა და სტუდენტების გაერთიანებულ მეტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში პროფესორმა ა. სანიკიძემ.

— საბჭოთა პატრიოტებისაგან,—განაგრძო მან, — ახლა სამშობლო მოიფხიზლს თავდადებულ შრომას, რათა უფრო სწრაფად, უფრო წარმატებით გაგვაბორკიელოთ სოციალისტური მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამა. ამავე მიზნის ემსახურება ჩვენი სახელმწიფო სესხები. მიეცეთ სესხად ჩვენს სახელმწიფოს საკუთარი შრომითი დანაზოგი, ხელი შეეწყოთ საბჭოთა სამშობლოს შემდგომ განმტკიცებასა და გაძლიერებას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ პროფესორები და სტუდენტები, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ თანამშრომელთა წარმომადგენლები.

მიტინგის დამთავრებისთანავე წარმატებით გაჩაღდა ახალ სესხზე ხელმოწერა.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

ბათუმი

ახალი პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ბათუმის საწარმოთა კოლექტივებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ ცნობის მიღებამ. სტალინის სახელობის ქარხანაში, სამკერვალო ფაბრიკაში, ყველგან, ყველა საწარმოში გაიმართა სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი სახელდახელო მიტინგები და გაჩაღდა სესხზე ხელმოწერა.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს ახალი სესხის გავრცელება აჭარის ასსრ რაიონებსა და ქალაქებში.

სოხუმი

გუშინ სოხუმის საწარმოებში, დაწესებულებებში და ახალშენებლებლობებზე გაიმართა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, მიძღვნილი ახალი სესხის გამოშვებისადმი.

სტალინის სახელობის სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პაპაროსის ჩამწყობმა სტახანოველმა ნინო კეთლაძემ, რომელმაც გამოხატა ფაბრიკის ყველა მუშა-მოსამსახურის სურვილი — ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხს და ამით ხელი შეუწყონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა ა. ინტურნინამ, ა. ადამიამ და სხვებმა. შემდეგ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები შეუდგნენ სესხზე ხელმოწერას.

დიდი წარმატებით შეუდგნენ ახალი სესხის გავრცელებას სანავსადგურო მოწყობილობათა, თამბაქოს საფერმენტაციო და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

ცხაკაიას რაიონი

წარმატებით მიმდინარეობს ცხაკაიას რაიონში ახალი სახელმწიფო სესხის გავრცელება.

დიდ თანხებზე მოაწერეს ხელი ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ბაკურაძემ, მეღორეობის ფერმის გამგემ გ. ზოფერიამ და სხვ.

ერთსულოვნად მოაწერეს სესხს ხელი სოფელ თოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოთი

ფოთის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები გამოთქვამენ თავიანთ მზადყოფნას მისცენ სახელმწიფოს სესხად თავიანთი დანაზოგი.

ახალი სესხის გავრცელებას მასობრივად შეუდგნენ ფოთის რაიონის კოლმეურნეობებშიც. — ჩვენ არაფერს დავიშურებთ იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა სამშობლოს შემდგომი განმტკიცება და გაძლიერება, — აცხადებენ კოლმეურნეები სესხზე ხელმოწერისას.

სიღნაღი

დიდი ერთსულოვნებით შეუდგნენ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეები და საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები ახალი სესხის გავრცელებას. ყველა სოფლიდან, ყველა კოლმეურნეობიდან მოდის ცნობები, რომ მშრომელები ღრმა პატრიოტული შეგნებით აწერენ ხელს ახალ-სესხს, იჩენენ მზადყოფნას სახელმწიფოს სესხად მისცენ თავიანთი შრომითი დანაზოგი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

განსაკუთრებული წარმატებით ჩაატარეს ახალ სესხზე ხელმოწერა წოწორის რაიონიდან სადგურის და მტსის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებმა.

ოჩამჩირის რაიონი

ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ხალმრავალ მიტინგზე პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა ეკატერინე ქარაიამ, რომელმაც დამსწრეებს მოუწოდა ხელი მოეწერათ სესხზე. ორატორმა პირველი მაგალითი უჩვენა სხვებს.

მოწონავე კოლმეურნე ქალის მაგალითს მიბაძეს დანარჩენმა კოლმეურნეებმაც და სულ მოკლე ხნის განმავლობაში თითქმის ყველა კოლმეურნემ მოაწერა ხელი ახალ სესხს.

პატრიოტული აღფრთოვანებით შეუდგენენ ახალ სესხზე ხელმოწერას ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ ჭილოეს ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

კიროველთა მიჯინგზე

როგორც კი რადიომ მოიტანა ცნობა სსრ კავშირის მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბნენ მუშები და მოსამსახურეები, ინჟინერები და ტექნიკოსები. ქარხნის დირექტორმა ამხ. ა. მელაძემ მიტინგის მოთაწილეებს გააცნო სესხის დანიშნულება და გავრცელების პირობები.

სიტყვა ითხოვა მოწონავე მჭედელმა შ. მანველიძემ.

— ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, — თქვა მან, — რომ სახელმწიფოსათვის ჩვენი შრომითი დანაზოგის სესხად მიცემით ხელს შეეწყობით სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, რომ ჩვენი თანხები მოხმარდეს ჩვენივე ცხოვრების გაუმჯობესებას. ამიტომ სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს.

ასევე აღფრთოვანებით განაცხადეს სესხზე ხელმოწერის სურვილი ქარხნის სხვა მოწონავე სტახანოველმა-დაზგათმშენებლებმა.

მიტინგის შემდეგ დაიწყო ახალ სესხზე ხელის მოწერა.

შრომაში სამაგალითონი სესხის გავრცელების მაგალითსაც იძლევიან

ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ცნობას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. საამქროებში შემდგარ ხალხმრავალ მიტინგებზე ფაბრიკის მოწონავე ადამიანები, რომლებიც შრომაში სამაგალითონი არიან, ამჟამად ახალი სესხის გავრცელებაშიც პატრიოტული მაგალითის მაჩვენებლებად გამოვიდნენ.

ფეხსაცმლის საკერავ საამქროში ახალ სესხს პირველებმა მოაწერეს ხელი სტახანოველებმა ი. მატინოვმა, ნ. თედიაშვილმა და სხვ.

წარმატებით ჩატარდა ახალ სესხზე ხელმოწერა სატვიფრავ, გამოქვრელ და ფაბრიკის ყველა სხვა საამქროში.

მეგალურგთა ერთსულოვნება

მშრომელთა პატრიოტულ დემონსტრაციად გადაიქცა საქართველოს მეტალურგების ქალაქში — რუსთავში ახალ სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის დაწყება. ყველგან ახალი ქალაქისა და მისი ვეებერთელა სამრეწველო რაიონის ტერიტორიაზე — სამშენებელო მოედნებზე, საწარმოებში, დაწესებულებებში შედგა ხალხმრავალი მიტინგები,

ახალგაზრდა მეტალურგებმა, სარემონტო-მექანიკური საამქროს სტახანოველებმა ს. ჯავახიშვილმა, მ. მაისოიანიძემ, ნ. ოტიაშვილმა და სხვებმა სესხზე ხელმოწერის პირველი მისაბაძი მაგალითები მიგვაჩნიან.

ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეუდგენენ სესხზე ხელმოწერას მარტენმშენის და სიალინავი საამქროს მშენებლები და მემონტაჟეები, ბინათმშენებლობაზე მომუშავენი, რუსთავის ყველა საწარმოთა კოლექტივები.

ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ დიდი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტია.

ახალი სესხი საბჭოთა ხალხს უფრო მეტად გაუადვილებს მის წინაშე დასახულ დიად ამოცანას — ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას. ის უმაგალითო შრომითი აღმავლობა, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი დიადი სამშობლო, იმ დიდი მიღწევები, რითაც საბჭოთა ხალხი შეხვდა 1949 წლის პირველმისობას, მოწმობენ, რომ საბჭოთა ადამიანები უდიდესი წარმატებით ანაღდებენ ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის მიერ სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებისას დასახულ ამოცანებს: „უმოკლეს ვადაში მოვუშუშოთ ჩვენს ქვეყანას მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები და აღვადგინოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ოსმამდელი დონე, რათა უახლოეს დროში მნიშვნელოვნად გადააჭარბოთ ამ დონეს, აკამაყოლოთ ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება“.

1948 წელს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა მრეწველობამ გეგმა 106 პროცენტით შეასრულა და 18 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს, ხოლო 27 პროცენტით — 1947 წლის დონეს. აღსანიშნაია, რომ პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შარშან სსრ კავშირის მრეწველობის უკლებლივ ყველა დარგმა შეასრულა. დამახასიათებელ სურათის მივიღეთ, თუ განვიხილავთ პროდუქციის ზრდის ყოველწლიურ მაჩვენებლებს. სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1946 წელს შეადგენდა 20 პროცენტს, 1947 წელს — 22 პროცენტს, ხოლო 1948 წელს — 27 პროცენტს.

არანაკლებ მნიშვნელოვანი წარმატებია სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, რომელიც დიდ აღმავლობას განიცდის.

ცხოვრება გაუმჯობესდა, ცხოვრება საამური გახდა. უმოკლეს ვადაში, გაუგონარი, უსასტიკესი ომის დამთავრებიდან სულ ოთხი წლის შემდეგ, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში უკვე იგრძნობა საყოველთაო-სახალხო დოვლათის სიუხვე. შრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც ასახავს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ბუნებას და შედეგია ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის დიდი ბელადის, მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მამრიგი ზრუნვისა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან, ურღვევი სტალინური მეგობრობით შედუღაბებულ ოჯაზში, ქართველი ხალხიც ამაყობს თავის მიღწევებით. ეს მიღწევები შეაჯამა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის შშრომელებს ახალი ამოცანები დაუსახა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მრეწველობამ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში ოცი ნაბიჯით ადგა წინ. ეს ნიშნავს, რომ ამ ოცი ნაბიჯიდან ოცდაერთ ნაბიჯს ერთ ადგილზე ვდგავართ

პირველი მაისის დღესასწაული საზღვარგარეთ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 1 მაისი. (საკუთ.). დიდი აღფრთოვანებით იდღესასწაულეს ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა 1 მაისი — მთელი მსოფლიოს მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღე. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შედგა მშრომელთა სანახევროლაბორი დემონსტრაციები და მიტინგები.

პირველი მაისის დღესასწაული პრაღაში დაიწყო პრაღის განთიადისა ჯარების პარადით. შემდეგ ეიკლეთის მოედნისაკენ გაემართნენ დემონსტრანტთა კოლონები. სანახევროლაბორი დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის რამდენიმე ასეულიანმა მშრომელმა.

დემონსტრანტთა კოლონების მიმდინარეობა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ გოტვალდის, სარეოლაშინოს მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა პორტრეტები, ტრანსპარანტები და ლოზუნგები, რომლებზეც წარწერილი იყო: „გაუმარჯოს მშვიდობასს!", „გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობასს!", „ძირს ახალი ომის გამჩაღებლებნი!".

მთავრობის ტრიბუნების წინ გაფლილი დემონსტრანტთა კოლონები გამარჯვებას უსურვებდნენ დიდ სტალინს, საბჭოთა კავშირს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ბურჯს. 1 მაისის დღესასწაულსა ყველგან ჩაიარა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის მებრძოლებთან ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა სოლიდარობის ნიშნით, მშვიდობიანი შემომქმედებითი შრომისათვის, ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მობილიზაციის ლოზუნგით.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელებმა 1 მაისის დღის ცხადყვეს თავიანთი მზადყოფნა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის, დასაკეთებელ, თავისი მხურვალე სამშობლოს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი, თვალ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის ყველა მომხრისადმი, ცხადყვეს თავისი მხურვალე სოლიდარობა საბჭოთა კავშირისადმი, ხალხთა მეგობრობისა და განმათავისუფლებლის — დიდი სტალინისადმი.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 1 მაისი. (საკუთ.). ზეიმით აღნიშნეს 1 მაისის დღესასწაული უნგრეთის მშრომელებმა. 1 მაისის დღე გახდა ნამდვილი საყოველთაო სახალხო დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნგრელი ხალხის უაღრესად ფართო მასებმა. იგი გახდა გრანდიოზული დემონსტრაცია მშვიდობისათვის, მშვიდობის ფრონტის გამარჯვებისათვის, რომელსაც სსრ კავშირი მეთაურობს, დემონსტრაციაზე უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელობით დამოუკიდებლობის სახალხო ფრონტის გარშემო დარაზმული უნგრელი ხალხის ერთიანობისათვის, სახალხო დემოკრატიის შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური უნგრეთისათვის.

უნგრეთის დედაქალაქში დღესასწაული დაიწყო სამხედრო პარადით, რომელიც გმირთა მოედანზე შედგა.

შემდეგ მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა პირველი კოლონები. მათ მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ხელმძღვანელების პორტრეტები, აგრეთვე მრავალი ტრანსპარანტი და დიდაგრამა, რომლებიც ასახავენ დემოკრატიული უნგრეთის სახალხო მეურნეობის წარმატებას. წინიდან ეკიდა ლოზუნგი: „ეგზისტენციალისტ ბეროზაშვილის ბრალდებულ-ძე ბეროზაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-V, 8 ს. გამოსვენება 5-V, 6 ს. მარილ, 4.

მაგდან, ვარდო, სამსონ, ოთარ, ქეთო, მარგო ბალდავიძეები ეუწყებიან **დიმიტრი ხარლამპეს-ძე მგელაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-V, 6 ს. რუსთაველის, 4.

შვილები ქეთო, ვენია, ტიტანა ავალიანები ოჯახებით ეუწყებიან **მატრონა გიორგის ასულ ავალიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-V, 7½ ს. გამოსვენება 5-V, 6 ს. ტერიანოსკის, 10.

თბილისის ქალთა მეშვიდე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური თანაგრძნობას უცხადებენ ბ. ლოგუას მისი მამის **მიხეილის** გარდაცვალების გამო.

შვილები ფატი, თეოფილე, გრიგოლ, რძლები მარო, ციცინო, ზინა ხარატიები, სიძე პლატონ, შვილიშვილები შოთა, გენო, ქეთო დოლიძეები ეუწყებიან **სოფიო ხარატის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-V, ძიძიანში (ზარიაძის რაიონი).

ბულგარეთი

სოფია, 1 მაისი. (საკუთ.). ბულგარეთის მშრომელებმა ზეიმითა და სიხარულით იდღესასწაულეს 1 მაისი. სოფიაში პარადის შემდეგ შედგა მშრომელთა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300 ათასმა კაცმა.

ბულგარეთის დედაქალაქის მშრომელთა სარეკვლიანის დემონსტრაციამ ცხადყო, ბულგარელი ხალხის დარაზმულობა, მისი მტკიცე გადაწყვეტილება—ყოველი ღონით დიცვას თავისი რესპუბლიკის მშვიდობა, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ცხადყო მისი ურყევი ნება — შეასრულოს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა, საფუძველი ჩაუყაროს სოციალიზმს ბულგარეთში და უზრუნველყოს სახალხო ფრონტის გამარჯვება სახალხო საბჭოების მომავალ არჩევნებში.

დემონსტრაციამ ჩაიარა საბჭოთა კავშირისადმი, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების), ბულგარეთის ხალხის საუკეთესო მეგობრის, ბულგარეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველის—ი. ბ. სტალინისადმი დიდი მადლობისა და უსაზღვრო ერთგულების ლოზუნგებით.

გერმანია

ბერლინი, 1 მაისი. (საკუთ.). დღეს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამრეოლო ძალების დათვალიერების დღეს, ბერლინში შედგა მშრომელთა სამრეკლოანი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 800 ათასზე მეტმა კაცმა. დედაქალაქის ყველა სეკტორიდან ლუტგარტენის მოედნისაკენ უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ დემონსტრანტთა კოლონები.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის ხელისუფლებამ აკრძალეს სპარეკელმაინი. დემონსტრაციის მოწყობა და ფეხზე დაყენება დასავლეთ სექტორიკენ სამხედრო პოლიციამ, მუშაები და მოსამსახურეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, დისანაღლისები და მოსწავლეები ქუჩაში გამოვიდნენ.

როცა შტუმის პოლიციი შეეცადა ხელი შეეშალა კოლიკერების რაიონის (ამერიკის სექტორი) მშრომელების მსვლელობისათვის, დემონსტრანტებმა გაარღვიეს პოლიციელთა რკალი და ლუსგარტენის მოედნისაკენ გაემურნენ.

დემონსტრანტებს მოსჭონდათ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები. კოლონების თავზე გაბაფხულის მზის კაშკაშა სხივებში ფრიალებდნენ წითელი ალმები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „ბავშვიანელოკრისფერი დროშები, მრავალი პლაკატი და ლოზუნგი. მათზე წარწერილი იყო: „ეკონომიზმისა და მშვიდობისათვის!", „გაუმარჯოს მშვიდობის მომხრეთა ძმურ თანამეგობრობას ყველა ქვეყანაში!", „სსრ კავშირთან მეგობრობისათვის!", „ძირს ჩრდილო ატლანტიკის პაქტი!".

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 1 მაისი. (საკუთ.). ქალაქ ნიუ-იორკში 70 ათასზე მეტმა შუამ, ოფის მეკურნალნმა და ინტელიგენციის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა სპარეკელმაინ დემონსტრაციაში. დემონსტრაციამ ჩაიარა მშვიდობის დაცვის ლოზუნგით და ამერიკელი ხალხის დემოკრატიულ უფლებებზე ფაშისტური ხელყოფის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნით. დემონსტრაციის პირველ რიგში მიდიოდა ომის ვეტერანთა დიდი რაზმი, რომელსაც სამხედრო და სახელოო ფორმა ეცვა. მათს შემდეგ დიდი დროშით, რომელზეც ეწერა „მშვიდობისათვის, უშიშროებისა და უფლებათა ბიღლის დაცვისათვის", მიდიოდნენ 1 მაისის დღესასწაულის მომწყობი გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტისა და სახალხო კომიტეტის წარმომადგენლები.

მიუხედავად პირველი არმიის შტაბის ცდისა — ხელი შეეშალა სპარეკელმაინ დემონსტრაციაში ომის ვეტერანთა მონაწილეებისათვის, დიდძალი ყოფილი ჯარისკაცები, მეზღვაური და ქალთა საარმიო კორპუსის წევრი შეიარაზა შშედობის დაცვისათვის საპარეკელმაინ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად. მათ მოაქონდათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა: „შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობამ უზრუნველყო გამარკვება — მას შეეძლოთ უზრუნველყოს მშვიდობის შენარჩუნება", „ბინები ომის ვეტერანებისათვის ნაცვლად სამტრამოებისა მუშებისათვის."

დემონსტრანტებს, რომლებიც მიწინავე კოლონის შემდეგ მოდიოდნენ, მოაქონდათ მაკეტი, რომელიც ასახავდა ჩრდილო ატლანტიკის პაქტს, — ჯარისკაცისფორმიან ფიგურას, რომელსაც ალმასიანი ხიშტების არაწმა თავის ნაცვლად გამხმარი ქალა ჰქონდა.

ნიუ-იორკის მეხუთეზენი დემონსტრანტებს მხურვალე ტაშით მიესალმებოდნენ. გაისმოდა შეძახილები: „ატლანტიკის პაქტი ომს ნიშნავს—ჩვენ კი მშვიდობა გვსურს".

საფრანგეთი

პარიზი, 1 მაისი. (საკუთ.). საფრანგეთის დედაქალაქში, ისე როგორც საფრანგეთის ბევრ სხვა ქალაქში, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით დღეს შედგა პარიზის მშრომელთა ძლიერი სპარეკელმაინ დემონსტრაცია. პარიზის დემონსტრაციაში, რომელშიც 5 საათს გასტანა, მონაწილეობა მიიღო 1 მილიონზე მეტმა კაცმა.

ბევრ საწარმოსა და დაწესებულებაში, რომლებიც ჩვეულებრივად კვირაობით მუშაობენ, დღეს მუშაობა შეწყდა რამდენიმე საათით, ზოგან მთელი 24 საათით, დაბურული მაღაზიები, არ მუშაობენ ტაქსის შოფერები, დაბურულია რესტორნები, თეატრები, 13 საათიდან 15 საათისა და 20 წუთამდე არ წარმოებდა რადიოგადაცემა.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით მშრომელები, როგორც შრომის საყოველთაო კონფედერაციის, ისე სხვა პროფკავშირული ორგანიზაციების წევრები ქუჩაში გამოდიოდნენ. 3 საათზე ადგილობრივი დროით მთელი მშრომელი პარიზი, რომელიც ერთა მოედანზე შეიკრიბა, 9 კოლონად ორკესტრებით, დროშებითა და სიმღერით ბასტილიის მოედნისაკენ გაემართა. მთავარ კოლონაში ნაკრები მუშათა ორკესტრის ხმებსა და მრავალი ათასი პარიზელის ტაშისა და მისასალმებელი შეძახილების გრიალში ჩაიარეს შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანებების ხელმძღვანელობა. მას შემდეგ ტაშისა და მისალმებათა სულ უფრო გაძლიერებულ გუგუნში ჩაიარეს მშვიდობის მომხრეთა მთელი ოთხი კონგრესის მუდმივი კომიტეტის წევრებმა.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მეოთხეი კომიტეტის წევრების შემდეგ გაუწყვეტელ ტაშის გრიალსა და მისასალმებელ შეძახილებში ჩაიარეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ეკა დიეკლოს, მარსელ კაშენს, ანდრე მარტისა და სხვების მეთაურობით.

ბასტილიის მოედანზე შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიუროს, პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანებების წევრები, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წევრები, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, უნიტარული სოციალისტური პარტიისა და ორგანიზაცია „მშვიდობისა და თანამეგობრობისათვის" მებრძოლთან" ხელმძღვანელობის წევრები აქ აგებული ტრიბუნაზე ავიდნენ, ტრიბუნის წინ ჩაირეს მტკლოურგებმა, მელეთონელებმა, მშენებლებმა, ქიმიერი და საავიაციო მრეწველობის მუშებმა მარალინტოგანმა კოლონებმა, წინააღმდეგობის მომრაობის მონაწილეებმა, ფრანგ ქალთა კავშირის ოჯახებმა, საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირისა და ბევრი სხვა დემოკრატიული ორგანიზაციის კოლონებმა.

წინააღმდეგობის მებრძოლთა ლოკატებზე ეწერა: „წინააღმდეგობის გუშინდელი მონაწილენი ფიქრობენ, რომ თავიანთ თავს მებრძოლებად თვლიან? მშვიდობისა და დემოკრატიის საქმისათვის ბრძოლაში".

პარიზის საპარეკელმაინო დემონსტრაციი გასწია ომის მკაფიო დადასტურება, რომ ინტერესი მისწრაფება ერთიანობისაკენ საფრანგეთის მშრომელებისა, რომლებიც ებრძვიან თავიანთი საარსებო მოთხოვნებისათვის, მშვიდობის დასაცავად, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

მრავალრიცხოვანი სპარეკელმაინო დემონსტრაციები შედგა ავრეთვე საფრანგეთის სხვა ქალაქებში.

იტალია

რომი, 2 მაისი. (საკუთ.). გუშინ იტალიის ყველა ქალაქში შედგა მძლავრი საპარეკელმაინო დემონსტრაციები. რომში, ბიაკა დელ პოლოს მოედანზე, მიუხედავად ცუდი ამინდისა, მიტინგზე ასი ათასამდე კაცი შეკრება. მოედანს გარს ერტყა სამი ათასი პოლიციელი, რომელთა განკარგულებაში იყო ავტომანქანები და ავტომატური თოფები.

შეკრებილთა წინაშე სიტყვები წარმოთქვეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივნებმა რენატო ბიტოსიმ და ფერნანდო სანტიმ.

ბიტოსიმ იტალიელ მუშებს მიმართა მოწოდებით — უფრო მტკიცედ დაიარაზონ შრომის საყოველთაო კონფედერაციის გარშემო, გამტეხონ მრეწველთა წინააღმდეგობა, რომლებიც მთავრობისა და პოლიციის დახმარებით ცდილობენ იტალიის მუშათა მოძრაობა გადაადგილონან ძმიმე ბრძოლით მოპოვებული პოზიციებს.

მიტინგზე გამოდიოდნენ რომის მთელი რიგი ფაშიზმისაგან ბრალნაგნები წარმომადგენლები.

დიდი მანიფესტაციები გაიმართა მილანში, გენუაში, ბოლონიასა და სხვა ქალაქებში.

ალბალის ყველაზე დიდ ქალაქებში სამხედრო ხელისუფალნი მთელი დღის მანძილზე ცდილნენ ხელი ეშალათ ჯარისკაცებს, რათა შესაძლებლობა არ მიეცათ მუშათა მონაწილეობა მიეღოთ საპარეკელმაინო დემონსტრაციებში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის ჩეხურ ენაზე გამოცემის შესახებ

პრაღა, 30 აპრილი. (საკუთ.). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ჩეხურ ენაზე ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის გამოცემის შესახებ.

„ჩეხურ ენაზე ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა, — ნათქვამია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებაში, — დიდშნიშვნელოვანი მოვლენაა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის იდეურ ცხოვრებაში. ი. ბ. სტალინის შრომებში განზოგადებულია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის და საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის ბრძოლის დიდი ისტორიული გამოცდილება. ი. ბ. სტალინის შრომებში განვითარებულია და ახალი გენიალური განვით გამდიდრებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიული გამოცდილება არის უდიდესი გამოცდილება, რომელიც ამდიდრებს მუშათა კლასის ყველა რევოლუციურ პარტიას და ნამდვილად საკმარია ყველა იმ ქვეყანისათვის, რომლებიც სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ.

ი. ბ. სტალინის, შრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ნაშრომებებით ჩეხი პარტიანი ითვლებიან საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის კანონზომიერებას.

ი. ბ. სტალინის ნაშრომებები, რომელთა პირველი ტომი პარტიის IX ყრილთან გასწინა დღისათვის გამოვა, უდიდეს დახმარებას გაუწევს ყველა ჩეხეს პარტიულ ხელმძღვანელ და პარტიის წევრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში, ბოლშევიკური პარტიის გამოცდილების შესწავლაში, რაც აუცილებელია ჩეხეს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობისათვის".

მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირთან კორეის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ყრილობამ

ფხენიანი, 30 აპრილი. (საკუთ.). ფხენიანის რადიო იუწყება, რომ მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირთან კორეის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მესამე ყრილობამ.

ყრილობის მუშაობის უკანასკნელ დღეს მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა კორეაში ტ. ფ. შტიკოვმა, რომელსაც შეუხვიეს ტაშით შეხვდნენ.

საბჭოთა კავშირთან კორეის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საანგარიშო მოხსენების გამო კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ ლი გი ენმა. კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, ნაჩვენებია მან, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველია.

მოსკოვში დადებული შეთანხმება კორეა-საბჭოთა კავშირის კულტურულ თანამშრომლობის შესახებ უფრო გაამყარებს კორეელი კულტურის განვითარებას.

ყრილობას მიესალმა სამხრეთ კორეის კულტურის მოღვაწეთა წარმომადგენელი კინ ნამ გუნ ჩიენი.

ახალი წესდების მიღების შემდეგ ყრილობამ ირჩია საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი 67 კაცის შემადგენლობით.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ყრილობის დელეგატები გაემართნენ კორეის განთავისუფლების დროს დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლისაკენ და ვეიროვნენი შეამკეს იგი. ამ ცერემონიის დროს ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნები.

ბაიუანისათვის ბრძოლების შედეგები

სინხუას საგანგებო ცნობა

ბეიპინი, 1 მაისი. (საკუთ.). სინხუას საგენტო გადმოგვცემს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ტაიუანის შტაბის კომენიტს, რომელმეც ნათქვამია, რომ ტაიუანისათვის ბრძოლებში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა ტაკეენ წაიყვანეს 77 ათასი ბომბინანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. განადგურებულ გომინდანური ნაწილთა შორის არიან — ტაიუანის ეგრეთ წოდებული „დამაშშვიდებელი შტაბი", მე-10 საარმიო დაჯგუფების შტაბი, მე-15 საარმიო დაჯგუფების შტაბი, არმიის 6 შტაბი, 17 დივიზია, 1 მექანიზებული საარმიო კორპუსი, 1 საარტილერიო პოლკი.

ტაკეენ წაყვანილ გომინდანელ ოფიცერთა შორის არიან: ტაიუანის რაიონის „დამაშშვიდებელი" ჯარების სარდალი მოადგილე სუნ ჯუ, მისი შტაბის უფროსი ჯაო ში-ლანი და ტაიუანის გომინდანური გარნიზონის სარდალი ვან ძინ-გო, რომელიც ადრეთვე მე-10 საარმიო დაჯგუფების სარდალი იყო.

ნადავლია: 3.456 ქვემეხი, 729 მძრავი ტაკეი-მფრქვეელი, 3.250 მსუბუქი ტაკეიმფრქვეელი, 1.385 ტაკეიმფრქვეელ-ავტომატი, 27.203 შაშხანა, 9 ტანკი, 500 ავტომანქანა, 47 ორთქლმავალი და 750 ვაგონი.

სასამართლო განაჩენი ირანში

თეირანი, 2 მაისი. (საკუთ.). ეგზეკუტორებმა სამხედრო სასამართლოს განაჩენი 9 კაცის სიკვდილზე, რომელთაგან ბრალად ედებოდათ „ირანის სახალხო პარტიის ორ ხელმძღვანელს" თაბარინსა და დოქტორ ქეშავარზის ბრალი ედებათ იმაში, რომ ისინი თავდასხმის ეითომ „მთავარი წამქეზებელნი" იყვნენ, მაგრამ, „იმის გამო, რომ ამალეანმა", მათი სიკვდილ განხილვა „გადადებულია სასამართლოში მათ გამოცხადებამდე ან დასაბუმრებამდე".

გამოვიდა გაზეთ „სოციალისტური იუგოსლავიისათვის" პირველი ნომერი

გამოვიდა გაზეთ „სოციალისტური იუგოსლავიისათვის" პირველი ნომერი. გაზეთის „ოსკო